



E-government.ge
შესახებ

- სამთავრობო ელ-სერვისების პირველი ვებ-პორტალი საქართველოში
- მოსახერხებელი სანავიგაციო საშუალებები
- ინფორმაციის გამარტივებული ძებნა
- მომხმარებელთა შორის მზარდი პოპულარობა

მონაცემთა გაცვლის სააგენტო ყოველთვიური საინფორმაციო ბიულეტენის გავრცელებას იწყებს


საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტო ყოველთვიური საინფორმაციო ბიულეტენის გავრცელებას იწყებს. ყველა მომხმარებელი, რომელსაც დაინტერესებულა აქვს საკუთარი ელექტრონული ფოსტის მისამართი საიტზე www.e-government.ge მიიღებს საინფორმაციო ბიულეტენს, რომელიც გააშუქებს მნიშვნელოვან სიახლეებს ისეთ საკითხებზე, როგორცაა ინფორმაციული უსაფრთხოება, მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურა, ელექტრონული მმართველობის განვითარება და სხვა. საინფორმაციო ბიულეტენის მეშვეობით ასევე მიღებთ შეტყობინებებს სხვადასხვა სახელმწიფო უწყების მიერ ახალი ელექტრონული სერვისების დანერგვის შესახებ. ვიმედოვნებთ, წარმოდგენილი ინფორმაცია გაზრდის თქვენს ინტერესს ელექტრონულ მმართველობასთან დაკავშირებული იმ მიმართულებების შესახებ, რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ქვეყნის განვითარების საქმეში.

ელექტრონული სამთავრობო რესურსების ვებ-პორტალი ახალი ელ.სერვისებით შეივსო

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობაში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მონაცემთა გაცვლის სააგენტოს მიერ შემუშავებული ვებ-პორტალი ინფორმაციის მუდმივი განახლების რეჟიმში მუშაობს.

სხვადასხვა სამთავრობო უწყებების მიერ დანერგილი ახალი ელექტრონული მომსახურებების რაოდენობა დღითიდღე იზრდება, რაც ასევე მომენტალურად აისახება ელექტრონული სამთავრობო რესურსების ვებ-პორტალზე. უკანასკნელ პერიოდში პორტალს არაერთი ელექტრონული მომსახურება დაემატა, რაც კიდევ უფრო გაუმარტივებს საიტის მომხმარებლებს ამა თუ იმ სერვისით სარგებლობას.

სიახლეები იყო იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის მომსახურებებში: ამოქმედდა საქართველოს მოქალაქის პასპორტის, განმეორებითი სამოქალაქო აქტებისა და უცხოეთში მყოფ თანამემამულეთა საკონსულო რეგისტრაციის ელექტრონული ფორმით მიღების პროცედურები. საიტზე ასევე განთავსდა თბილისის მერიის ქონების მართვის სააგენტოსა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ახალი ელ.სერვისები.



მონაცემთა გაცვლის სააგენტოს საგანმანათლებლო-შემეცნებითი სალექციო კურსი 42-ე ფიზიკა-მათემატიკურ საჯარო სკოლაში

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობაში შემავალმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა მონაცემთა გაცვლის სააგენტო ი. ვეკუას სახელობის თბილისის 42-ე ფიზიკა-მათემატიკური საჯარო სკოლის მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო-შემეცნებითი სალექციო კურსების ციკლი დაიწყო.



სალექციო კურსების ციკლი, რომელიც სალექციო კურსების ციკლი, რომელიც ყოველთვიურად თითო ლექციის ჩატარებას ითვალისწინებს, შეეხება თანამედროვე ტექნოლოგიებთან დაკავშირებულ სხვადასხვა საინტერესო თემატიკას, რომელსაც სააგენტოს თანამშრომლები სპეციალურად მოსწავლეებისთვის შედგენილი პროგრამის მიხედვით ჩაატარებენ.

სალექციო კურსის დროს მოსწავლეები გაეცნობიან თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების დანიშნულებას და ადამიანის ადამიანის საქმიანობაში მათი მრავალმხრივი გამოყენების საშუალებებს. თემატიკა ასევე ითვალისწინებს კომპიუტერული ტექნოლოგიების განვითარების ისტორიას. ინტერნეტის, როგორც თანამედროვე ცხოვრების განუყოფელი ნაწილის მნიშვნელობას მისი შექმნიდან დღემდე. ელექტრონული მონაცემების დანიშნულებას, მათი შენახვის, გამოყენებისა და გავრცელების საშუალებებს. კიბერ უსაფრთხოების ძირითად საფუძვლებს. ასევე საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში მომუშავე კომპანიებისა და პიროვნებების წარმატების ისტორიებს.

ევროკომისიის ექსპერტთა მისია მონაცემთა გაცვლის სააგენტოში

14-დან 18 მარტის ჩათვლით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ევროკომისიის ექსპერტთა მისია ეწვია. უცხოელმა ექსპერტებმა სააგენტოს თანამშრომლებთან ევროკომისიის პროექტის - ტექნიკური დახმარება და ინფორმაციის გაცვლა - ფარგლებში ინფორმაციული უსაფრთხოების

საკითხებზე საკონსულტაციო შეხვედრები გამართეს. “ევროკომისიის ექსპერტთა მისიის წარმომადგენლებთან ერთად ვისაუბრეთ ინფორმაციული უსაფრთხოების საკითხებზე, გავიზიარეთ მათი გამოცდილება უსაფრთხო ინტერნეტის, კიბერ ინციდენტებისა და მათი თავიდან

აცილების საშუალებების შესახებ. ასევე მნიშვნელოვანი იყო ინფორმაციული უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტებთან დაკავშირებით მოწოდებული ინფორმაცია. მსგავსი სახის შეხვედრები ყოველთვის მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ ამ დროს ხდება ჩვენი უცხოელი კოლეგების გამოცდილების გაზიარება.” - **ირაკლი გვენეტაძე**, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარე.

TAIEX-ის შესახებ: TAIEX-ის პროექტი (ტექნიკური დახმარებისა და ინფორმაციის გაცვლის ინსტრუმენტი) ევროკომისიის მიერ ხორციელდება. მისი მიზანია პარტნიორ ქვეყნებში ევროკავშირის სივრცეში მოქმედი კანონ-მდებლობის, რეგულაციებისა და სტანდარტების შესახებ კვალიფიციური ინფორმაციის გავრცელება და კონსულტაციების გზით ამავე ქვეყნების აღნიშნულ სტანდარტებთან დაახლოების ხელშეწყობა. TAIEX-ი ამ ფუნქციის შესრულებისთვის აქტიურად იყენებს ექსპერტების, სასწავლო და შეფასებითი ვიზიტების ფორმატს.

მონაცემთა გაცვლის სააგენტოსა და ევროკომისიის TAIEX-ის პროექტის ორგანიზებით ინფორმაციული უსაფრთხოების საკითხებზე სამუშაო შეხვედრა გაიმართა

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალმა მონაცემთა გაცვლის სააგენტომ ევროკომისიის ტექნიკური დახმარებისა და ინფორმაციის გაცვლის პროექტთან (TAIEX) თანამშრომლობით 21-22 მარტს სასტუმროში „რედისონ ივერია“ ინფორმაციული უსაფრთხოების საკითხებისადმი მიძღვნილი სამუშაო შეხვედრა გამართა.

შეხვედრის ფარგლებში ევროკომისიის პროექტის ექსპერტებმა კიბერ უსაფრთხოებაზე, კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი რეაგირების ჯგუფების ფუნქციონირებაზე, საჯარო და კერძო სექტორში ინფორმაციული უსაფრთხოების სტანდარტიზირებული პოლიტიკის დანერგვის საკითხებზე გაამახვილეს ყურადღებას. სამუშაო შეხვედრას ესწრებოდნენ სამინისტროებში ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებაზე პასუხისმგებელი ხელმძღვანელი პირები, ასევე ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები საფინანსო, სადაზღვევო, სატელეკომუნიკაციო კომპანიებიდან.

„საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს საქმიანობის ერთ-ერთი

ძირითადი მიმართულებაა ქვეყანაში ინფორმაციული უსაფრთხოების გარემოს გაუმჯობესება და მისი მუდმივი მონიტორინგი. დღეს ჩვენს ევროპულ კოლეგებთან ერთად, რომლებსაც პრაქტიკული გამოცდილება და ცოდნა აქვთ ინფორმაციულ უსაფრთხოებასთან მიმართებაში, როგორც საჯარო, ისე ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებისთვის გამართავენ ე.წ. ვორქშოპს“, რომლის დროსაც გაზიარებულ იქნება ევროკავშირის ქვეყნებში დღეისათვის არსებული მდგომარეობა, მათ მიერ ინფორმაციული უსაფრთხოების თვალსაზრისით ჩატარებული სამუშაო, ასევე განხილულ იქნება კონკრეტული მაგალითები თუ თითოეულმა ორგანიზაციამ, იქნება ეს სამინისტრო თუ კერძო ინსტიტუტი, როგორ დაიცვას თავი კიბერ ინციდენტებისგან, მოახდინოს მათი სწორი ანალიზი და რეგისტრირება. საბოლოო ჯამში ეს გაზრდის ჩვენი ქვეყნის ინფორმაციულ მდგრადობას სხვადასხვა პოტენციური კიბერ საფრთხეების დროს, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციების გამართულ და ეფექტურ მუშაობას“ - **ირაკლი გვენეტაძე**, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარე. ვორქშოპში მონაწილეობის



მისაღებად საქართველოში ჩამოვიდნენ ევროპის ქვეყნების დარგის ლიდერები ლიტვიდან, პოლონეთიდან და შვედეთიდან.

„მოხარული ვარ, რომ იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტომ და ევროკომისიის TAIEX-ის პროექტმა საშალება მოგვცა ჩვენი გამოცდილება გავეზიარებინა ქართველი პარტნიორებისთვის. დღევანდელ დღეს თითოეული ქვეყნისთვის ინფორმაციული უსაფრთხოების გამართული სისტემის ქონას კრიტიკული მნიშვნელობა აქვს. ამდენად, ჩვენი მიზანია, რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მივაწოდოთ ჩვენს კოლეგებს ინფორმაციული უსაფრთხოების თანამედროვე ნორმების შესახებ.“ - **მიროსლავ მეი**, პოლონეთის კრიტიკული ინფორმაციისა და ინფრასტრუქტურის დაცვის სამთავრობო ცენტრი.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო მონაცემთა გაცვლის სააგენტო

წმ. ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის 2
თბილისი, 0102 საქართველო
ტელ: (+995 32) 91 51 40 (106)
ელ.ფოსტა: info@dea.gov.ge

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

შეცვლის სააგენტო



www.e-government.ge

იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტო საჯარო სამართლის იურიდიული პირის (სსიპ) სტატუსით 2010 წლის 4 იანვრიდან ფუნქციონირებს.

სააგენტოს მიზანს წარმოადგენს საქართველოში ელექტრონული მმართველობის განვითარების საკითხების კოორდინირება, მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურის შექმნა, ერთიანი სამთავრობო ქსელის ჩამოყალიბება და მონიტორინგი, საჯარო სექტორში ინფორმაციულ და საკომუნიკაციო სფეროსთან დაკავშირებული სტანდარტების შემუშავება, ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის ჩამოყალიბება და მისი გატარება.

მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ფუნქციები სამ ძირითად მიმართულებად იყოფა:

- ელექტრონული მმართველობა;
- მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურა;
- ინფორმაციული უსაფრთხოება.

ელექტრონული მმართველობა

სახელმწიფო სტრუქტურების ადმინისტრირების და მათი ფუნქციების განხორციელების ეფექტური და თანამედროვე ფორმა, რაც მოიცავს: სახელმწიფოსა და მოქალაქეს, სახელმწიფოსა და კერძო სექტორს, ასევე სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებს შორის ურთიერთობის ელექტრონულ ფორმებს. დღეისათვის სხვადასხვა სახელმწიფო უწყება უკვე ფლობს არაერთ მომსახურებას, რომელსაც ელექტრონული ფორმით სთავაზობს სხვადასხვა კატეგორიის მომხმარებლებს. ელექტრონული სერვისი წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილ ყველაზე იაფ, მოხერხებულ და სწრაფ მომსახურებას. მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ერთ-ერთი ფუნქციაა არსებული და სამომავლოდ დაგეგმილი მომსახურებების ერთიან სისტემაში მოქცევა და მათი ადმინისტრირება.

მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურა

ეფექტური საშუალება საჯარო სექტორში არსებული მონაცემების კოორდინირებულად მართვის უზრუნველსაყოფად, რაც ასევე დაკავშირებულია ელექტრონული მმართველობის სრულყოფილად განვითარებასთან. ერთიანი სამთავრობო ელექტრონული ინფრასტრუქტურის



ინფორმაციული უსაფრთხოება

როგორც ელექტრონული მმართველობის, ისე მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურის ამოქმედება ზრდის ინფორმაციული უსაფრთხოების საფრთხეს. კიბერ- შეტევების, კიბერ ინციდენტების პრევენციისთვის მონაცემთა გაცვლის სააგენტოში მოქმედებს სტრუქტურული ერთეული - კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი რეაგირების ჯგუფი, რომელიც წარმოადგენს ქვეყნის მასშტაბით ინფორმაციულ ინციდენტებზე რეაგირების მთავარ ორგანოს. მონაცემთა გაცვლის სააგენტოს პრეროგატივაა ინფორმაციულ და საკომუნიკაციო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით საერთო სტანდარტების და პოლიტიკის შემუშავებაც.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
მონაცემთა გაცვლის სააგენტო

წმ. ნიკოლოზის/წ. ჩხეიძის 2
თბილისი, 0102 საქართველო
ტელ: (+995 32) 91 51 40 (106)
ელ.ფოსტა: info@dea.gov.ge

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო



www.e-government.ge

თუ არ გსურთ, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს
საინფორმაციო ბიულეტენის მიღება, გთხოვთ
გამოგზავნოთ ელექტრონული შეტყობინება მისამართზე:
info@dea.gov.ge და სათაურში მიუთითოთ “Unsubscribe”.

თუ ხართ ახალი მომხმარებელი ან კვლავ გსურთ
საინფორმაციო ფურცლის გამოწერა, გთხოვთ
გამოგზავნოთ ელექტრონული შეტყობინება
მისამართზე: info@dea.gov.ge და სათაურში მიუთითოთ
“Subscribe” ან დაარეგისტრირდეთ თქვენი ელექტრონული
ფოსტის მისამართი ვებ გვერდზე: www.e-government.ge